

Image not found or type unknown

## ნათია ვაჰანაძის საქმეზე პირველი სხდომა ჩაინიშნა

საიას მიერ გამოქვეყნებული [განცხადების](#) შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 2021 წლის 25 მაისს, 10:00 სთ-ზე, სსიპ - **ქ[REDACTED]** მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს **ქ** ყოფილი დირექტორის, ნათია ვაჰანაძის საქმეზე პროცესი ჩაინიშნა.

2019 წელს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ ნათია ვაჰანაძეს უნდობლობა გამოუცხადა და დაკავებული პოზიციიდან გადააყენა. უნდობლობის გამოცხადებამ გააჩინა განცდა, რომ მიღებული სადავო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არა სამართლებრივ არგუმენტებს, არამედ ნაკარნახევი იყო ხელისუფლების ინტერესით, შეეცვალა მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა. მაუწყებელში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა ეს ეჭვები დაადასტურა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 30 აპრილს წარდგენილი სარჩელით, ნათია ვაჰანაძე ითხოვს უნდობლობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თანამდებობაზე აღდგენას, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებასა და დირექტორის პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის ბათილად ცნობას.

სსიპ **ქ[REDACTED]** მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს **ქ** ყოფილი დირექტორის, ნათია ვაჰანაძის ინტერესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს.